

არამატერიალური მოტივაციის მეთოდები საჯარო და
კერძო დაწესებულებებში

ანი ლელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მურთაზ კვიციანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სარჩევი

1. აბსტრაქტი	1
2. შესავალი.....	1
3. მოტივაციის თანამედროვე თეორიები	3
4. არამატერიალური მოტივაციის მეთოდები	10
5. არამატერიალური მოტივაციის კვლევის მიმოხილვა	18
6. არამატერიალური დემოტივაციის ქეისები.....	22
7. კვლევის მეთოდები	24
8. კვლევა არამატერიალური მოტივაციის შესახებ და მისი ანალიზი	25
8.1. კვლევის შედეგები	46
8.2. კვლევის შედეგების კავშირი წაკითხულ ლიტერატურასთან.....	48
9. რეკომენდაციები	48
10. დასკვნა.....	54

* ბიბლიოგრაფია

* დანართი

აბსტრაქტი

რა სჭირდებათ ადამიანებს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ სამუშაო? სწორედ ეს კითხვა გახდა ჩემთვის ინსპირაციის წყარო. ვუყურებდი გარშემო ადამიანთა არაერთგვაროვან დამოკიდებულებას და ვფიქრობდი, ნუთუ მხოლოდ საქმის ბუნებით სიყვარულშია ძალა? თუ ამ გრძნობის გამომუშავებაც შესაძლებელია? ჩემი ვარაუდით, ყველაფერი მიღწევადია, მაშინ როცა არსებობს მზაობა, რომელიც დამოკიდებულებათა ცვლილებისკენაა მიმართული, ამიტომ შესაძლოა იმ საქმის შეყვარება, რომელზედაც ბავშვობაში სულაც არ გიოცნებია, მაგრამ სამუშაო პირობებმა განაპირობა სწორედ დამოკიდებულებათა ცვალებადობა, მაგრამ ამ კონდიციამდე მისვლა, მიღწევადია მაშინ, როცა ერთდროულად რამოდენიმე ფაქტორი ზემოქმედებს ადამიანზე. ის, რაც შინაგანად გეხება, შეუძლებელია, მხოლოდ გარეგანი ზეგავლენით გაღრმავდეს.

ნაშრომში გავცემ პასუხს, რას აქვს დიდი და ნაკლები ეფექტი იმაზე, რომ ადამიანებმა პასუხისმგებლობით იმუშაონ, მაგრამ დასკვნა, რომელიც მივიღე არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ მხოლოდ მატერიალური სტიმული ვერ გახდება ინდივიდების ჩართულობის გარანტი. ძირეულ გარდაქმნებს მორალური მოტივაციის გამომუშავებით შესაძლოა მივაღწიოთ.

შესავალი

ხშირად მიფიქრია, 21-ე საუკუნეში, როგორი მოცემულობის წინაშე იქნებოდნენ ადამიანები, სისტემურად, რომ მიდიოდნენ